საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 233

2019 წ. "05" 12

ქ.თბილისი

შპს - გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის „საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდგომში აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საბჭო.

1.3. აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, პირობითი აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილება არ შეიძლება მიღებულ იქნეს ზედიზედ ორჯერ.

თავმჯდომარე

მდივანი

1.4. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის თანახმად, აკრედიტაციაზე უარის თქმის შემთხვევაში:

ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება კარგავს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის მიღების უფლებას;

ბ) ის სტუდენტი, რომელიც სწავლობდა სახელმწიფო დაფინანსებით, უფლებამოსილია გადავიდეს სხვა აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და მისთვის გამოყოფილი სახელმწიფო დაფინანსების დარჩენილი ოდენობა გადაიტანოს ამ საგანმანათლებლო პროგრამაზე;

გ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება წყვეტს რეგულირებადი, მასწავლებლის მომზადებისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების, ასევე დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას. ამ შემთხვევაში სტუდენტებს 5 წლის განმავლობაში უჩერდებათ სტუდენტის სტატუსი და უფლებამოსილი არიან ისარგებლონ მობილობის უფლებით.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2019 წლის 18 ივნისს შპს - გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა №01-09/121 (ცენტრში რეგისტრაციის №782005) სააკრედიტაციო განაცხადი „საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 09 ივლისის №590 ბრძანების საფუძველზე, შპს - გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 20 სექტემბრის №868 ბრძანებით შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2019 წლის 25 ოქტომბერს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი შპს - გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში, ხოლო 2019 წლის 03 დეკემბერს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა			✓	
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			✓	

თავმჯდომარე

მდივანი

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		✓		

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2019 წლის 05 დეკემბერი. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის მაძიებელს უარი უნდა ეთქვას აკრედიტაციის მინიჭებაზე.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 24-ე მუხლის, ასევე, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, ამავე კანონის 27^6 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. უარი ეთქვას დანართი №1-ით გათვალისწინებულ შპს - გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის „საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაციის მინიჭებაზე.

2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს - გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის „საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

3. ცნობილ იქნას საბჭოს 2019 წლის 05 დეკემბრის №64 სხდომის ოქმის №06 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. საბჭომ გაიზიარა შემდეგი რეკომენდაციები:

თავმჯდომარე

მდივანი

1. პროგრამის მიზნები, მათი მიღწევადობისა და რელევანტურობის შეფასების გაადვილების მიზნით მკაფიოდ იქნეს ფორმულირებული;

2. პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად განსახორციელებელი აქტივობები ინტეგრირებულ იქნეს აღნიშნული უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციისა და სხვა მნიშვნელოვან სტრატეგიულ დოკუმენტაციაში;

3. გაიმართოს რელევანტური დოკუმენტაციის შინაარსობრივი/სტილისტური მხარე მათი ხარისხობრივი შეფასების გამარტივების მიზნით;

4. პროგრამის მიზნების რელევანტურობისა და ბიზნესის სფეროს ტენდენციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, სიღრმისეულად იქნეს შესწავლილი ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნები;

5. პროგრამის სწავლის შედეგები გახდეს გაზომვადი და ისინი უფრო მეტად დაუახლოვდეს საერთაშორისო ბიზნესის სფეროში დასაქმების მოთხოვნებს;

6. შემუშავდეს ქმედითი სამიზნე ნიშნულები და სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტები; 7. დაკონკრეტდეს პროგრამის მიზნების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის დამდგენი მექანიზმები;

8. პროგრამის სწავლის შედეგებთან (რელევანტურობა, გაზომვადობა, სამუშაო ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობა) მიმართებაში გამოკითხულ იქნეს კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები;

9. პროგრამის შრომის ბაზრის მოთხოვნებთან დაახლოების მიზნით, უზრუნველყოფილ იქნეს პროგრამის დიზაინის, მიზნების და სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში პოტენციური დამსაქმებლებისა და სხვა რელევანტური დაინტერესებული პირების აქტიური ჩართვა;

10. სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განსავითარებლად პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალს ჩაუტარდეს ტრენინგები;

11. პროგრამის შინაარსის დასახვეწად და შეფასების მეთოდების გასაუმჯობესებლად გამოყენებულ იქნეს პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზის ძირითადი მიგნებები;

12. სპეციალობის შიდა გამოცდის საკითხები დაუახლოვდეს პროგრამის საფეხურსა და სპეციფიკას;

13. ჩატარდეს უცხო ენის შესაბამისი დონის ადეკვატური გამოცდა;

14. პროგრამის გადამუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნეს ყველა დაინტერესებული პირის, განსაკუთრებით კი დამსაქმებლის და კურსდამთავრებულების, მოსაზრებები;

15. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია გახდეს უფრო მეტად ქმედითი და მონაწილეობითი. პროგრამის შემუშავება/შემდგომი განვითარების პროცესში უფრო აქტიურად მოხდება ყველა დაინტერესებული მხარის ჩართვა;

16. გადაიხედოს პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი; პროგრამის შინაარსში ინტეგრირებულ იქნეს უახლესი კვლევის შედეგები, დარგის თანამედროვე მიღწევები და სასწავლო მიზნებით გამოსაყენებელი ტექნოლოგიები;

17. პროგრამის სასწავლო კურსების თანმიმდევრობისა და სასწავლო მასალების უკეთ დაძლევის კუთხით გადაიხედოს სასწავლო კურსების წინაპირობები;

თავმჯდომარე

მდივანი

18. გადაიხედოს პროგრამის ფარგლებში უცხო ენის სწავლების საჭიროების საკითხი;

19. კურსების ფარგლებში ასათვისებელი სასწავლო მასალების მოცულობა შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი სამაგისტრო საფეხურის სწავლებასთან;

20. სტუდენტების შეფასების სისტემა მოერგოს სამაგისტრო საფეხურის სწავლებას. ხშირი ტესტური შეფასებები ჩანაცვლდეს ანალიტიკური ესეებითა და სამაგისტრო საფეხურისთვის შესაბამისი დავალებებით;

21. სწავლის მეთოდები მოერგოს სასწავლო კურსის მიზნებს, სპეციფიკას და სწავლის შედეგებს;

22. გადაიხედოს სასწავლო კურსისთვის განკუთვნილი კრედიტების მოცულობა და შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი სტუდენტების რეალურ დატვირთვასთან;

23. სტუდენტთა შეფასება მოერგოს კურსის მიზანს და სწავლის შედეგებს;

24. უზრუნველყოფილ იქნეს სილაბუსების შინაარსის გამართვა;

25. განახლდეს ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა საერთაშორისო უახლესი სასწავლო/სამეცნიერო ბიზნეს გამოცემებით;

26. ხელშეკრულებები/მემორანდუმები გაფორმდეს რელევანტურ საერთაშორისო ბიზნეს ორგანიზაციებთან;

27. გაძლიერდეს სტუდენტთა თემატურ კონფერენციებსა და გამოფენებში ჩართულობის მექანიზმები;

28. წახალისდეს სტუდენტთა ჩართულობა აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებულ სამეცნიერო-კვლევით პროექტებში;

29. სწავლა-სწავლების მეთოდები მოერგოს სასწავლო კურსის საფეხურს, მიზნებს, შინაარსს, სწავლის შედეგებს, სტუდენტების შესაძლებლობებს (მომზადების კუთხით) და სხვა საჭიროებებს (საბაკალავრო საფეხურზე მიღებული განათლება/რელევანტური სფეროში პროფესიული/სამეცნიერო გამოცდილება);

30. გადაიხედოს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები;

31. ელექტრონული სამეცნიერო ბაზების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, სტუდენტებსა და პედაგოგებში დაიგეგმოს აქტივობები;

32. სამაგისტრო პროგრამის მიზნებთან და დასახელებასთან - საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი - შესაბამისობაში მოყვანის მიზნით საჭიროა პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და სხვა მარეგულირებელ დოკუმენტებში მკაფიოდ ჩამოყალიბდეს უცხო ენის სავალდებულო ცოდნის მოთხოვნა;

33. ფაკულტეტის და პროგრამის ხელმძღვანელებმა, ერთის მხრივ, უნდა გააძლიერონ აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების და სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა საერთაშორისო მიმართულებით; მეორეს მხრივ, რეფერირებად საერთაშორისო ჟურნალებში პუბლიკაციების განთავსების და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის კუთხით პერსონალმა მეტად იაქტიუროს;

34. იმ ნაკლოვანებებთან დაკავშირებით, რომელიც დასკვნის პროგრამულ ნაწილშია აღწერილი, საჭიროა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ძალისხმევის მიმართვა ხარისხის შეფასების მექანიზმების გასაძლიერებლად;

თავმჯდომარე

მდივანი

35. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და სრულყოფის მიზნით, მნიშვნელოვანია გარე ექსპერტ-შემფასებლების ჩართვა საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესში;

36. პროგრამულ ნაწილში აღწერილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, საჭიროა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობის გაღრმავება ხარისხის შეფასების შიდა და გარე მექანიზმების გასაძლიერებლად.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მისი ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღეს (2019 წლის 19 დეკემბერი).

6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საბჭოს თავმჯდომარე ქეთევან ქოქრაშვილი

საბჭოს მდივანი ნინო ლიპარტია

დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი
2	სტატუსი[2]	აკრედიტებული
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2019 წლის 18 იანვარი, №17
4	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[3]	საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი
5	უმაღლესი განათლების საფეხური[4]	მაგისტრატურა
6	კვალიფიკაციის დონე[5]	მეშვიდე
7	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტში
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[6]	„----„
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
10	კვალიფიკაციის კოდი[7]	020307
11	სწავლების ენა	ქართული
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
13	განხორციელების ადგილი[8]	საქართველო 0101, ქ. თბილისი, სამღერეთის ქ. №5
14	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2019 წლის 19 დეკემბერი
15	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[9]	-
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	-

[1] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[2] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

[3] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[4] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[5] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[6] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[7] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

[8] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

[9] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

თავმჯდომარე

მდივანი